წ ე რ ი ლ ი 5.10.2020

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ქ-ნ ეკატერინე ტიკარაძეს

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორს, ბ-ნ ამირან გამყრელიძეს

ძვირფასო კოლეგებო,

მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსთან შეიქმნა ჩამანაცვლებელი პრეპარატის გაცემასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის მიზანია ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში პანდემიის პირობებში 5 დღის ულუფის გატანის შემზღუდველი რეგულაციის გადახედვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

ამა წლის 1 ოქტომბერს შედგა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სფეროში აქტიურად ჩართული სტეიკჰოლდერების, სამედიცინო და პაციენტთა თემის მონაწილეობით.

შეხვედრის შედეგად, თემის და სერვისის მიმწოდებლების ჩართულობით შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- პანდემიის დაწყების ადრეულ ეტაპზე 5 დღის ულუფის გატანის პრაქტიკის დანერგვა საქართველოში, შეფასებულ იქნა როგორც საუკეთესო პრაქტიკა ჩვენს რეგიონში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ. ამა წლის 23-24 სექტემბრის ჯანმოს რეგიონულ შეხვედრაზე არა ერთი ქვეყნის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა მეთადონის რამოდენიმე დღის დოზის გატანება, როგორც საუკეთესო მაგალითი მაღალი რისკის ჯგუფებში COVID-19-ის ინფექციის გავრცელების პრევენციისთვის;
- პანდემიის პირობებში, 5 დღის ულუფის გატანის გაუქმების პარალელურად, პაციენტების და თემის წევრების გადმოცემით, გართულებულია დისტანციის დაცვა ჩანაცვლებითი პრეპარატების გამცემ სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც პაციენტების დიდი ოდენობა იყრის თავს ყოველდღიურად;
- ბოლო 2 კვირის მანძილზე COVID-19-ის ახალი რეგისტრირებული შემთხვევების უპრეცედენტო მატების პირობებში ჩამანაცვლებელი პრეპარატის რამდენიმე დღის დოზის გატანების გაუქმება საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით საშიში გადაწყვეტილებაა, რადგან ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრებში პაციენტების მჭიდრო კონტაქტების შედეგად/რიგებში დგომისას იქმნება დიდი რისკი ეპიდ აფეთქებისთვის. რეგულაციის გაუქმება ქმნის სერიოზულ საფრთხეს ნარკოტიკების

ინექციური მომხმარებლების, მათი ოჯახის წევრების და სამედიცინო თემის მიმართაც. გასათვალისწინებელია, რომ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლები თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (სხვადა სხვა ქრონიკული დაავადებები და ინფექციური დაავადებები) წარმოადგენენ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს COVID-19-ით განპირობებული მძიმე გართულებების, გარდაცვალების ჩათვლით;

- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სფეროს ექსპერტების და პაციენტების ჩართულობით, რომელიც შეიმუშავებს გრძელვადიან პერსპექტივაში პაციენტებისთვის დოზის გატანის განახლებულ მექანიზმს, როდესაც მულტიდისციპლინული გუნდი დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას ბინაზე დოზის გატანების შესახებ. აღნიშნული საფუძვლად დაედება შესაბამისი ბრძანების ცვლილების პროექტის მომზადებას. სასურველია აღნიშნული ჯგუფის მუშაობა განხორციელდეს პოლიტიკის და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის (PAAC) ქოლგის ქვეშ;
- გამონაკლისის სახით შემუშავდეს შუალედური ბრძანება მეთადონის 5 დღიანი დოზის გაცემის დაუყოვნებლივ აღდგენისთვის, სანამ არ მოხდება გრძელვადიან პერსპექტივაში პროგრამის განხორცი ელების მოდელზე შეთანხმება.

წერილის შინაარსს გაეცნო და იზიარებს ნარკოტიკის მომხმარებელთა თემი და მათი ოჯახის წევრები, ჩ/თ პროგრამის სამედიცინო პერსონალი, დარგში დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

კოვიდ ინფექციასთან დაკავშირებული მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ველით თქვენს დაუყონებლივ რეაგირებას,

პატივისცემით,

<u>თემის,</u> ჩ/თ პროგრამის სამედიცინო პერსონალის, დარგში დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით:
კახა კვაშილავა - ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
მაკა გოგია - ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
ხათუნა თოდაძე - ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
ოთარ ჯიჯიეშვილი - ჩანაცვლებითი თერაპიის პაციენტი, ა/ო ,,ფენიქსი 2009“ და GeNPUD
კოკა ლაბარტყავა - ჩანაცვლებითი თერაპიის პაციენტი, ა/ო ,,ახალი ვექტორი“ და GeNPUD
ზაზა ქარჩხაძე - ჩანაცვლებითი თერაპიის პაციენტი, ა/ო ,,რუბიკონი“ და GeNPUD
მზია ტაბატაძე - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო, თავმჯდომარის მოადგილე